A joint initiative of the OECD and the European Union, principally financed by the EU

# მოხელეთა პასუხისმგებლობა –
## ავსტრიის გამოცდილება

ვოლფგანგ ფეშორნი
ფინანსური პროკურატურის
ხელმძღვანელი

კონფერენცია თემაზე -
„ფინანსთა სამინისტროს იურიდიული სამსახურის ორგანიზაცია: ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება”

თბილისი, 25-26 სექტემბერი, 2009

© OECD

A joint initiative of the OECD and the European Union, principally financed by the EU

## შესავალი

- აუცილებლობას წარმოადგენს მოხელეთა მიერ მიყენებული ზიანის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ ანაზღაურების უზრუნველყოფის რეგულირება;
- მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული გასული საუკუნის შუა პერიოდის ჩათვლით სახელმწიფოს პასუხისმგებლობა აღიარებულ იქნა საფრანგეთში, გერმანიაში, შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთსა და ავსტრიაში;
- ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში მოხელეთა პასუხისმგებლობა კვლავაც მკაცრად შეზღუდულია;
- იაპონიაში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ინსტიტუტის განვითარება დასაბამს 1916 წლიდან იღებს;
- კორეა და ტაივანი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ კანონებს იღებენ 1951 და 1980 წლებში;



© OECD

A joint initiative of the OECD and the European Union, principally financed by the EU

## მოხელეთა პასუხისმგებლობა

არსებობს პასუხისმგებლობის ორი სახე:

**1.) სახელმწიფოს პასუხისმგებლობა**

ევროკავშირის წევრი სახელმწიფო დაარღვევს ევროპულ სამართალს, რითაც ზიანი ადგება ევროკავშირის მოქალაქეს;

**2.) მთავრობის პასუხისმგებლობა**

მოხელეთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის გამო, რის შედეგადაც ზიანი მიადგა პირს სახელმწიფოს შიგნით ევროპულ სამართალთან ყოველგვარი კავშირის გარეშე;



© OECD

A joint initiative of the OECD and the European Union, principally financed by the EU

## მთავრობის პასუხისმგებლობა I

1. **სამართლებრივი საფუძვლები**

- დასაბამს იღებენ 1930 წლიდან და ისინი მოცემულია ავსტრიის კონსტიტუციაში ;
- ორგანული კანონი სახელწოდებით „ამთშაფთგეზეთცი”, გამომდინარეობს კონსტიტუციიდან და ძალაშია 1949 წლიდან;
- ხსენებული აქტი ადგენს, რომ ფინანსთა პროკურორი:
  - წარმოადგენს ძირითად საკონტაქტო პირს ფედერაციის წინააღმდეგ საჩივრის წარმდგენ პირთათვის;
  - აფასებს საჩივრებს; და
  - ვალდებულია კომპეტენტურ ორგანოებს მისცეს რეკომენდაციები უნდა იქნას თუ არა მოცემული საჩივარი აღიარებული.



© OECD

A joint initiative of the OECD and the European Union, principally financed by the EU

## მთავრობის პასუხისმგებლობა II

**2. იურიდიული პირები, რომელთაც ეკისრება პასუხისმგებლობა**

ფედერაცია, სახელმწიფოს მთავროებები, მუნიციპალიტეტები, სოციალური დაცვის სამსახურები და სხვა ადმინისტრაციული ორგანოები;

**3. საზრისი**

- მთავრობის პასუხისმგებლობა წარმოადგენს სპეციალურ სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას;
- საერთო სასამართლოები განიხილავენ მთავრობის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საქმეებს;
  - შეისწავლიან ადმინისტრაციული ორგანოების ქმედებათა კანონიერებას;
  - აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაში პირდაპირი ჩარევის გარეშე;
  - ეხება მხოლოდ მოხელის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს.



© OECD

A joint initiative of the OECD and the European Union, principally financed by the EU

## მთავრობის პასუხისმგებლობა III

**4. წინაპირობები**

**ა) ზიანი**

- ზიანი მიყენებულია;
- ზიანი შესაძლებელია გამოიხატოს ანაცდენ სარგებელში, საქმიანი რეპუტაციის შებღალვაში, უკანონო დაკავებითა ან დაპატიმრებით მიყენებული ფინანსურ დანაკარგებში;

კერძო პირს უნდა დაუბრუნდეს ზიანის მიყენებამდე არსებული მდგომარეობა.

**ბ) მოხელის ქმედება**

- ქმედებები;
- უმოქმედობა; მოქმედების სამართლებრივი ვალდებულება;



© OECD

## მთავრობის პასუხისმგებლობა IV

**ც) ზიანის მიყენება კანონის აღსრულების პროცესში**

- მოხელის ქმედება უნდა უკავშირდებოდეს კანონის აღსრულების პროცესს;
- მთავრობის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას რთული გასამიჯნია მთავრობა მოქმედებს, როგოროც სუვერენი თუ კერძო პირი;
- მოხელე გამოდის „აღმასრულებლის" როლში, თუ მისი ქმედება მიმართულია ძალაუფლების გამოყენების საშუალებით გარკვეული მიზნის მისაღწევად;
- სახელმწიფო მმართველობის სფეროში ძალაუფლების გამოყენება გამოხატულია მაგალითად, განკარგულებებში, რეგულაციების სახით მიღებულ ოფიციალურ გადაწყვეტილებებში ანდა მოხელეთა ფაქტობრივ ქმედებებში;
- მთავრობის პასუხისმგებლობა სასამართლოების მიერ გამოცემულ გადაწყვეტილებებზეც ვრცელდება; გამონაკლისია უმაღლესი სასამართლო;

A joint initiative of the OECD and the European Union, principally financed by the EU



© OECD

## მთავრობის პასუხისმგებლობა V

**დ) არაკანონიერება**

- მოხელის ქმედებამ უნდა გამოიწვიოს სამართლის ნორმის დარღვევა, რომელიც აღკვეთს კერძო პირისადმი ზიანის მიყენებას;
- შესაძლებელია გამოიწვიოს არასწორი გადაწყვეტილების მიღებამ, არაზუსტი ინფორმაციის მიწოდებამ ან არასწორმა რჩევამ;

**ე) ბრალი**

  - მოხელის ქმედება ბრალეული უნდა იყოს (ნაკლებად და მომეტებულად გაუფთხილებელი ან განზრახი );
  - ქმედების ბრალეულობა დასტურდება მისი არაგონივრული შინაარსით;
  - მოხელე თავის ქმედებებს უნდა მოეკიდოს ექსპერტი მოწმის მსგავსი სიფრთხილით;

A joint initiative of the OECD and the European Union, principally financed by the EU



© OECD

## მთავრობის პასუხისმგებლობა VI

**ფ) პასუხისმგებლობის სხვა საფუძვლები**

- მიზეზ-შედეგობრივი კავიშირი ქმედებასა და მიყენებულ ზიანს შორის;
- ქმედებისა და ზიანის პროპორციულობა;

**გ) მტკიცების ტვირთი**

- მომჩივანმა უნდა დაამტკიცოს:
  - მოხელის მოვეობათა დარღვევა;
  - მიყენებული ზიანის არსებობა;
  - მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ქმედებასა და ზიანს შორის;
  - მოხელის ბრალეულობის დამდასტურებელი ფაქტები;
- არ არის სავალდებულო მოხელის ვინაობის დასახელება;

A joint initiative of the OECD and the European Union, principally financed by the EU



© OECD

## მთავრობის პასუხისმგებლობა VII

**5. მთავრობის პასუხისმგებლობის თავისებურებანი**
**ა) მოხელისათვის პირდაპირი პასუხისმგებლობის დაკისრების დაუშვებლობა**

- დაზარალებული მხარე პიროვნულად მოხელის მიმართ არ ჩივის;
- დაზარალებულ მხარეს საჩივარ შეაქვს იურიდიული პირის წინააღმდეგ;
- არსებობს სხვაობა ორგანიზაციულ და ფუნქციურ იურიდიულ პირებს შორის;

**ბ) მოხელის პასუხისმგებლობა**

- იურიდიული პირი უფლებამოსილია ანაზღაურების ვალდებულება გადააკისროს მოხელეს მისი ბრალეულობის დადგენის შემთხვევაში;

**ც) მატერიალური ზიანი**

  - ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ ფულადი სახით;

A joint initiative of the OECD and the European Union, principally financed by the EU



© OECD

## მთავრობის პასუხისმგებლობა VIII

**დ) ანაზღაურების არაქვემდებარე ზიანი**

- უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებანი და საკანონმდებლო აქტები არ წარმოადგენენ პასუხისმგებლობის საფუძველს;
- ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დაუშვებელია, თუ პირმა არ შეაჩერა ზიანის მიყენება გასაჩივრების უფლების გამოყენების მიზნით.(„მოფრთხილების ვალდებულება");
- თანამონაწილოებით გაუფრთხილებლობა ამცირებს მოთხოვნილი ზიანის ოდენობას ;

**ე) გასაჩივრების ვადები**

- გასაჩივრების საერთო ვადა ათი წელია;
- იურიდიულ პირს მოხელისათვის ზიანის ანაზღაურების გადაკისრების უფლება აქვს სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული ზიანის ოდენობის დადგენიდან ექვსი თვის ვადაში;

A joint initiative of the OECD and the European Union, principally financed by the EU



© OECD

## მთავრობის პასუხისმგებლობა IX

### 6. აღსრულება და მასთან დაკავშირებული პროცესი

- მხარე საჩივრის წარდგენამდე წერილობით მიმართავს შესაბამის იურიდიულ პირს ინფორმაცია მიეწოდოს მიყენებული ზიანის ცნობის ან მთლიანად ან ნაწილობრივ არცნობის შესახებ;
- ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ ფედერაციისადმი მიმართვა ეგზავნება ფინანსთა პროკურორს;
- ფინანსთა პროკურორი:
  - შეისწავლის მომჩივანის მიერ მითითებულ ფაქტებს;
  - კოორდინაციას უწევს ყველა ფედერალური ორგანოს ქმედებებს;
  - კერძო პირს პასუხს გასცემს სამი თვის ვადაში;
  - იძლევა რეკომენდაციას ექსპერტის მოსაზრების სახით კომპეტენტური ორგანოებისათვის;
- მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხებს განილიხავენ საერთ   სასამართლოები;

A joint initiative of the OECD and the European Union, principally financed by the EU



© OECD

## სახელმწიფოს პასუხისმგებლობა I

A joint initiative of the OECD and the European Union, principally financed by the EU

1. პრინციპები

- ევროსასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპი ევროპული სამართლის ნორმათა დარღვევის გამო;
- სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ წევრი ქვეყნების ეროვნული სასამართლოები;
- ეროვნულ სასამართლოებს გააჩნიათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლებამოსილება.


© OECD

## სახელმწიფოს პასუხისმგებლობა II

A joint initiative of the OECD and the European Union, principally financed by the EU

2. ევროსასამართლოს პრეცედენტები

- *ფრანკოვიჩი იტალიის რესპუბლიკის წინააღ დეგ*
  სახელმწიფო პასუხისმგებელია ეროვნული მთავრობების მიერ ევროპული სამართლის მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო;
- ბრასე დიუ პეშო გერმანიის რესპუბლიკის წინააღმდეგ
  ევროსასამართლომ აღიარა ფიზიკური პირისადმი ევროპული სამართლის ნორმების დარღვევით მიყენებული ზიანი, რაც გამოწვეულ იქნა საკანონმდებლო აქტით;
- ქობლერი ავსტრიის რესპუბლიკის წინააღმდეგ
  ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ წევრი სახელმწიფოს უმაღლესი სასამართლოს მიერ ევროპული სამართლის უმართებულო გამოყენება;


© OECD

## სახელმწიფოს პასუხისმგებლობა III

A joint initiative of the OECD and the European Union, principally financed by the EU

3. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საფუძვლები

- დარღვეული ევროპული სამართლის ნორმა ფიზიკურ პირებს ანიჭებდა უფლებებს;
- დარღვევა საკმარისად საგულისხმო უნდა იყოს;
- სახელმწიფოს მიერ დარღვევასა და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი;

⇒ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია დადგეს ეროვნულ სასამართლოში;

ევროპული სამართლის დარღვევა გამომდინარეობს
- დირექტივის სრულ შეუსრულებლობაში;
- დირექტივის ნაწილობრივ, არამართებულ ან შეუსაბამო შესრულებაში.


© OECD

## სახელმწიფოს პასუხისმგებლობა IV

A joint initiative of the OECD and the European Union, principally financed by the EU

4. აღსრულება და მასთან დაკავშირებული პროცესი ავსტრიაში

- არ არსებობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საჩივრების აღმასრულებელი მარეგულირებელი კანონმდებლობა;
- პროცესი ძირითადად სასამართლო პრაქტიკას ეფუძნება;
- კონსტიტუციური სასამართლოს დადგენილების თანახმად,
  - ეს უკანასკნელი უფლებამოსილია განიხილოს საჩივრები, რომლებშიც გასაჩივრებული ქმედებები პირდაპირ უკავშირდება კანონმდებლის საქმიანობას;
  - უმაღლესი სასამართლო განიხილავს სახელმწიფო პასუხისმგებლობის შესახებ საჩივრებს გარდა შემთხვევებისა, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან მის მიერ ძალაუფლების განხორციელებისას ან ადმინისტრაციული ორგანო სამოქალაქო სამართლით რეგულირებული ურთიერთობებში მონაწილეობისას, ადგილი ჰქონდა ევროპული სამართლის ნორმების დარღვევას, მის არასწორ გამოყენებას ან უგულებელყოფას.


© OECD

## დასკვნა

A joint initiative of the OECD and the European Union, principally financed by the EU

- მთავრობის პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელია პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის მუდმივი განვითარება;
- 1995 წლიდან ავსტრიის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, იგი პასუხისმგებლობას იღებს ევროპული სამართლით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე;
- სახელმწიფოს პასუხისმგებლობა გულისხმობს საკანონმდებლო და უმაღლესი ინსტანციის მართლმსაჯულების ორგანოებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას მათი არაკანონიერი საქმიანობის გამო;
- ფინანსთა პროკურორი გამოირჩევა მისი განსაკუთრებული როლით, რადგან იგი წარმოადგენს ფედერაციის საკონტაქტო პირს მოწმეთა გამოძახების პროცედურებთან დაკავშირებით და ავსტრიის რესპუბლიკას წარმომადგენლობას უწევს სასამართლოებში. მის ი ფუნქციებია:
- დაუსაბუთებელი საჩივრების თავიდან აცილება,
- საქმეზე არსებული ყველა ცნობილი გარემოების ობიექტური შეფასება
- პროცესის ეფექტური მართვა


© OECD

A joint initiative of the OECD and the European Union, principally financed by the EU

## გმადლობთ ყურადღებისათვის!

დოქტორი ვოლფგანგ პეშორნი, ფინანსთა პროკურორი,
ზინგერშტრასეს ქ. 17-19, A-1011 ვენა;
**wolfgang.peschorn@bmf.gv.at**


© OECD